# შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი











პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

mtc-anri.edu.ge

info@mtc-anri.edu.ge

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

*შპს ბუსსს ანრის*
*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი*
*Vocation Educational Programs' Catalogue of BHMES ANRI, LLC*

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის დირექტორი
_____ა.დიასამიძე
23.10.2026 წ.

საფუძველი:
2026 წლის 23 ოქტომბრის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი № 16.















შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი“ დაარსდა 2000 წლის ივნისში, 2005 წლის აგვისტოში, სასწავლებელმა შეიცვალა სახელწოდება და დაფუძნდა, როგროც შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი ანრი“, ხოლო 2014 წლის 01 ივლისიდან მას ეწოდება შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (შპს ბუსსს ანრი).

შპს ბუსსს ანრი ახორციელებს პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებს, ასევე აწარმოებს მეზღვაურების მომზადება/გადამზადება, სერტიფიცირებას.

შპს ბუსსს ანრი სერტიფიცირებულია საერთაშორისო ხარისხის სისტემის ISO 9001:2015 შესაბამისად.



СИСТЕМА СЕРТИФИКАЦИИ РУССКОГО РЕГИСТРА
RUSSIAN REGISTER CERTIFICATION SYSTEM

სერტიფიკატი

წინამდებარე სერტიფიკატი ადასტურებს, რომ

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოების ბათუმის უმაღლესი საზღვაო
საინჟინრო სასწავლებლი ანრის

იურიდიული მისამართი: საქართველო, 6010, ქ.ბათუმი, შ.ხიმშიაშვილის 11/4
ფაქტიური მისამართი: საქართველო, 6010, ქ.ბათუმი, შ.ინასარიძის ქ. №29

ხარისხის მართვის სისტემა შემოწმდა და აღიარებულ იქნა სტანდარტის

ISO 9001:2015

შესაბამისობაზე საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების მეთოდების შემუშავებისა და განხორციელების, საზღვაო სპეციალისტების თეორიული, პრაქტიკული და ტრენაჟორული მომზადების, გადამზადებისა და სერტიფიცირების ჩატარების, მეზღვაურთა შერჩევისა და საზღვაო ხომალდების ეკიპაჟების დაკომპლექტების სფეროში საერთაშორისო და ნაციონალური კანონმდებლობის მოთხოვნების დონეზე

№: 25.0381.026

სერტიფიკატის მოქმედების დაწყების თარიღი: 28.04.2025
რედაქცია ნომერი: 1
სერტიფიკატის მოქმედების ვადა: 27.04.2028

ნომრის ნომერი: 7
პირველი სერტიფიცირების ციკლის ორიგინალური თარიღი: 28.04.2007
წინა სერთიფიკატის ვადის გასვლის თარიღი: 28.04.2025

სერტიფიკატის ასლი მიღებულია „რუსული რეგისტრი“-ს გენერალური დირექტორი ა.ვ. ვლადკევიჩი

დანართი წარმოადგენს სერტიფიკატის განუყოფელ ნაწილს. სერტიფიკატის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ, კომპანიის წინამდებარე სერტიფიკატში მითითებულ ტერიტორიაზე. სერტიფიკატი კარგავს ძალას სერტიფიკაციის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში (http://www.rusregister.ru/doc/004.00-105.pdf).

Register of certificates https://rusregister.ru/

სერტიფიკაციის ასოციაცია „რუსული რეგისტრი“ : რუსეთი, სანქტ-პეტერბურგი, 190121, რიმსკო-კორსაკოვის შესახვევი.

RUSSIAN REGISTER РУССКИЙ РЕГИСТР

სასწავლებელი არის არაერთი ნაციონალური და საერთშორისო ორგანიზაციის წევრი, მათ შორის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია; ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო; EfVET – European Forum of Technical and Vocational Education and Training (პროფესიული სასწავლებლებ ის ევროპული ასოციაცია).










2026 წლის დეკემბრიდან სასწავლებელი განახორციელებს **მე-IV დონის პროფესიულ პროგრამებს** სპეციალობებით:

- საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია;
- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია.
- სწავლის ხანგრძლივობა ორივე პროგრამაზე შეადგენს 12 თვეს.








საზღვაო სასწავლებელი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად სარგებლობს ორი მთავარი პრინციპით: სტანდარტთან შესაბამისობა და მომხმარებლის არსებული და მოსალოდნელი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ხელმძღვანელობს რა დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებით, განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად იგი მიზანმიმართულია ჩამოყალიბდეს სწავლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ, ხელმისაწვდომ პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებლად, რომელიც თანამშრომლობს საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან; ამავდროულად უზრუნველყოფს სწავლების

ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას, სამოქალაქო ღირებულებების განვითარებასა და დასაქმებულობის მაღალ მაჩვენებლებს;



საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ამზადებს მაღალკვალიფიცირებულ კადრებს, რომელთაც ექნებათ პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, საერთაშორისო საზღვაო კონვენციის STCW სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად და მაღალი ეთიკური ნორმები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზარზე.










## სპეციალური მოთხოვნები

რადგან საქართველო წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის **(IMO)** წევრ ქვეყანას, IMO-ს მიერ აღიარებული ნორმატიული დოკუმენტები და საერთაშორისო საზღვაო კონვენცია „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ“ **(STCW)** სასწავლებლის ფუნქციონირების ძირითადი საკანონმდებლო ბაზაა. სწორედ ეს კანონები განსაზღვრავენ სტუდენტებისადმი წაყენებულ სპეციალურ მოთხოვნებს.

- ✓ სპეციალური მოთხოვნები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის შემდეგი ნორმატიული დოკუმენტებით:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 11 ივლისის ბრძანება N 215/ნ;
- ✓ საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ";
- ✓ International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1.

## სწავლისა და სტუდენტური ცხოვრებისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები

სწავლება ორგანიზებულია უახლესი ტრენაჟერული და კომპიუტერული ტექნიკის ბაზაზე დაფუძნებული კომბინირებული მეთოდების გამოყენებაზე. ძირითადი აქცენტი გადატანილია სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

სწავლის პერიოდში პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია:

- ✓ საკონფერენციო დარბაზი;
- ✓ საერთო საცხოვრებელი;
- ✓ პირველადი სამედიცინო მომსახურება;
- ✓ სწრაფმავალი სამაშველო კატარღა და სამაშველო ნავი (სპეციალური ტრენირებისათვის);
- ✓ სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე"- სასწავლო-საცურაო პრაქტიკის გასავლელად





## თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა
## შეესაბამება დაწესებულების მისიას

### სასწავლებლის მისია , ხედვა , ღირებულებები:

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი ეფუძნება რა პროფესიული განათლების, ასევე მეზღვაურთა განათლების, წვრთნისა და სერტიფიცირების უნიფიცირებულ სტანდარტებსა და წესებს, ისწრაფვის საზღვაო დარგებში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული თანამედროვე ცოდნის გავრცელებისაკენ.
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში.
ამ მიზნით იგი საზღვაო-სავაჭრო ფლოტისა და საზღვაო ტრანსპორტის ინდუსტრიის სფეროში უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის აკადემიურ და პროფესიულ განათლებას, რომელიც განხორციელდება სწავლებით, სტუდენტთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი კულტურული, ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ჰარმონიული გარემოს შექმნით და ავითარებს საკუთარ კვლევით პოტენციალს. ამით სასწავლებელი ხელს უწყობს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მის წარმატებულ საერთაშორისო ინტეგრაციას.

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ხედვაა, სასწავლებელი ჩამოყალიბდეს სწავლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ, კონკურენტუნარიან, საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნად და საზღვაო ტრანსპორტის ინდუსტრიის სფეროში ხელმისაწვდომ პროფესიულ სასწავლებლად, რომელიც ხელს უწყობს უწყვეტი სწავლების პრინციპს და სწავლებისა და დარგობრივი გამოყენებითი კვლევების ინტეგრირებას.

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის თავის საქმიანობას აფუძნებს შემდეგ ღირებულებებზე:

- სამართლიანობა;
- ჰუმანურობა;
- ტოლერანტობა;
- თანაბარი შესაძლებლობები;
- მრავალფეროვნება;
- თავისუფლება და პასუხისმგებლობა;
- კეთილსინდისიერება;
- აკადემიური თავისუფლება;
- ღიაობა და გამჭირვალეობა;
- განვითარებაზე ორიენტირებულობა






შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

# შპს ბუსსს ანრის
# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი
# Vocation Educational Programs' Catalogue of BHMES ANRI, LLC







შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

*შპს ბუსსს ანრის*
*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი*
*Vocation Educational Programs' Catalogue of BHMES ANRI, LLC*

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 19 ნოემბრის MES 7 21 0001249724 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (ს/კ:245539403) მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და უფლებამოსილება განახორციელოს IV დონის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამები.
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 16 მარტის MES 8 26 0000317527 და MES 9 26 0000317528 გადაწყვეტილებებით შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (ს/კ: 245539403) მიენიჭა უფლება დამატებით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“.

1. **საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია** – IV დონე;
2. **გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია** – IV დონე






მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

1. **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში;** Secondary Vocational Qualification in Ship Deck Operation;

   განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან (ISCED) შესაბამისია – 1041 "სატრანსპორტო მომსახურებები".

2. **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში;** Secondary Vocational Qualification in Ship Engine Room Operation.

   განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან (ISCED) შესაბამისია – 1041 "სატრანსპორტო მომსახურებები".

პროფესიული განათლების IV დონის საგანმანათლებლო პროგრამებზე **სტუდენტთა ჩარიცხვა** შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში. სრული ზოგადი განათლების დაძლევის საფუძველზე. თუ ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა გადააჭარბებს ვაკანტური ადგილების რიცხვს, ჩარიცხვა განხორციელდება სენატის მიერ დადგენილი კონკურსის წესით.

**სწავლების ხანგრძლივობა** IV დონის პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე/გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 72/**67**კრედიტი რომელთაგან ზოგადი მოდულები - 9 კრედიტის მოცულობითაა, პროფესიულ/დარგობრივი მოდულები - 63/58 კრედიტის მოცულობით. სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 12 სასწავლო თვეს.

მოდულის ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. მათთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე






სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით და პროგრამის მოცულობა შეადგენს 87/82 კრედიტს. მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია ,,ქართული ენა A2" მოდულის სწავლებისათვის.

სწავლების ხანგრძლივობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შეადგენს 12 აკადემიურ თვეს:

ა) საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - 72 ECTS კრედიტს, ხოლო ვისაც არ უდასტურდება ქართული ენის კომპეტენცია - 87 ECTS კრედიტს, რომელშიც შედის სასწავლო-საცურაო პრაქტიკა და სასერტიფიკაციო მომზადების გაცნობითი კურსი. კრედიტების განაწილება ხდება შემდეგნაირად: 12.5% - (9 კრედიტი) - ზოგადი მოდულები, 59.7% - (43 კრედიტი) - თეორიული მომზადება; 27.7% - (20 კრედიტი) - საზღვაო პრაქტიკა;

ბ) გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - 67 ECTS კრედიტს, ხოლო ვისაც არ უდასტურდება ქართული ენის კომპეტენცია - 82 ECTS კრედიტს, რომელშიც შედის სასწავლო-საცურაო პრაქტიკა და სასერტიფიკაციო მომზადების გაცნობითი კურსი. კრედიტების განაწილება ხდება შემდეგნაირად: 13.4% - (9 კრედიტი) - ზოგადი მოდულები, 56.7% - (38 კრედიტი) - თეორიული მომზადება; 29.8% - (20 კრედიტი) - საზღვაო პრაქტიკა.

## სწავლის შედეგები

**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია:**

- მონაწილეობა მიიღოს უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველყოფაში
- მონაწილეობა მიიღოს ტვირთის დამუშავებასა და განლაგებაში
- იზრუნოს გემზე მყოფ ადამიანებზე
- დაიცვას შრომის უსაფრთხოების და ჰიგიენის წესები
- გაუწიოს სამედიცინო დახმარება
- გამოიყენოს ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა და გაუმკლავდეს ხანძარს
- გარემოს დაბინძურების პრევენცია
- გემბანის მოწყობილობებისა და მექანიზმების უსაფრთხო ექსპლუატაცია
- ინგლისურ ენაზე ზეპირი კომუნიკაცია

**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია:**

- გემის მექანიკური დანადგარების ექსპლუატაცია
- ელექტრომოწყობილობების, ელექტრონული აპარატურის, მართვის სისტემების, ტექნიკური მომსახურეობა და შეკეთება
- გემზე მყოფ ადამიანებზე ზრუნვა
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენა
- ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის გამოყენება და ხანძართან ბრძოლა
- გარემოს დაბინძურების პრევენცია
- სამანქანე განყოფილებაში ვახტაში მონაწილეობა
- სამანქანე განყოფილების ქვაბების, მექანიზმების, დანადგარების სისტემების ტექნიკური მომსახურება

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის** სტუდენტთათვის კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო სტანდარტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

## მეოთხე დონის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

**პროფესიული განათლების დონე:** მეოთხე

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში

**პროგრამის მოცულობა:** 72 კრედიტი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება;
ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №086 ან №100), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს შერჩეული სამედიცინო დაწესებულება

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** საერთაშორისო საზღვაო კონვენციისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს გემბანის მეზღვაურის მეოთხე დონის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელსაც შეუძლია 500 და მეტი სრული ტევადობის საზღვაო გემზე დაიკავოს ამ კვალიფიკაციის შესაბამისი თანამდებობა.

**სწავლის შედეგი:**

| | |
|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესების, მეთოდებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და გააზრება.<br>იცის: ზოგადი ცნებები გემის აგებულებისა და გემის სანაოსნო თვისებების შესახებ; რანჰოუტისა და ტაკელაჟის მოწყობილობები; გემის საჭის, სატვირთო, ღუზის, მისაბმელი და ბუქსიების მოწყობილობების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; გარე კორპუსის ნაწილის მომზადება ნაოსნობისათვის; გემის საღებავების ძირითადი ტიპები და მათი გამოყენების წესები; გემბანის ტექნიკური საშუალებების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; ამწე-სატვირთო მექანიზმების ექსპლუატაციის წესები; ნავიგაციის ძირითადი ტერმინები, ცნებები და განმარტებები; საჭის მართვის ბრძანებები და მათი დანიშნულებები, მათ შორის ინგლისურ ენაზე; მოვალეობები დაკავშირებული დაკვირვების წარმოებასთან, მათ შორის ხმოვან სიგნალზე, შუქნიშანზე ან სხვა ობიექტზე წარმოებულ მიმართულებაზე გრადუსებში და მეოთხედებში; სანავიგაციო ვახტის გაწევის წესები; უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები გემბანზე სამუშაოდ; თავისი მოვალეობები გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (ავარიული სიტუაციის, ხანძრის შემთხვევებში). ავარიული სიგნალიზაციის სისტემები; ტვირთის მიღების, ჩაბარების, განათავსების და დამაგრების წესები; განგაშის ტიპების ჩამონათვალი; განგაშის სიგნალები. განრიგი განგაშის პირობებში; მარკირების სახეები |

| | |
|---|---|
| | გემბანზე; ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების ძირითადი მოთხოვნები; უსაფრთხო ვახტის გაწევის ნორმები. |
| უნარი | შეუძლია: გემის სამუშაოების შესრულება, მათ შორის: სადურგლო, სამღებრო, სატაკელაჟო სამუშაოები. კორპუსისა და ლითონის ნაკეთობათა გამწმენდი სამუშაოები; სანავიგაციო და სადგომი ვახტის წარმოება, ვიზუალური და სმენითი დაკვირვების გაწევა ვახტაზე; გემის ვახტის გაწევის წესების დაცვა; საჭის მოწყობილობისა და კურსის მაჩვენებელის კონტროლი. გიროკომპასისა და მაგნიტური კომპასის გამოყენება საჭის მართვის დროს. ავტომატურიდან ხელით მართვაზე გადასვლის ბრძანების შემთხვევაში და პირიქით; განახორციელოს გემის მიბმის ოპერაციები; განახორციელოს საჭის, სატვირთო და ბუქსირების საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია; განახორციელოს ჩატვირთვა გადმოტვირთვის პროცედურები: მოამზადოს სათავსოები, სატვირთო ტრიუმები და გემბანი ტვირთის განსათავსებლად; მიიღოს, ჩაიბაროს, განათავსოს და დაამაგროს ტვირთი. გაწმინდოს ტრიუმები და გაასუფთაოს გემბანი გადმოტვირთვის ოპერაციის შემდეგ; უზრუნველყოს ნაოსნობის უსაფრთხოება. უზრუნველყოს სატრანსპორტო უსაფრთხოების სათანადო დონე, გამოიყენოს ყველა საშუალება გემის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, მათ შორის: ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით; ჩაუშვას, ამოწიოს და მართოს სამაშველო კანჭო; ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა; იმოქმედოს განგაშის სიგნალების შესაბამისად, შეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა; განგაშის სიგნალების გამოყენება გადარჩენისა და ძიების ოპერაციების დროს, მათ შორის: პიროტექნიკური საშუალებები, თანამგზავრული ავარიული რადიო ბუები და ტრანსპონდერები; განგაშის მცდარი სიგნალების თავიდან აცილება. მოქმედებები მცდარი განგაშის სიგნალის გაშვების შემთხვევაში; თავისი კომპეტენციების ფარგლებში იმოქმედოს გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე.<br>შეუძლია საჭის მოწყობილობის, კურსის მაჩვენებელის კონტროლისა და ვიზუალური დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და კაპიტნის სავახტო თანაშემწის ინფორმირება.<br>აქვს გუნდური მუშაობის უნარი და შეუძლია განახორციელოს ეფექტური სამუშაო ურთიერთობები ვახტის გაწევის დროს. სამეთაურო |

| | |
|---|---|
| | შემადგენლობის პირის მიერ გაცემულ ბრძანებებზე ასრულებს ადექვატურ მოქმედებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში; შეუძლია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, გემის შიდა კავშირისა და ავარიული სიგნალიზაციის ეფექტურად გამოყენება; აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი მოცულობით.<br>კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად აცნობიერებს გადამზადების კურსების აუცილებლობას და შემდგომი პროფესიული ზრდის საჭიროებას. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** | მეზღვაურის პროფესიული საქმიანობის თავისებურების განმსაზღვრელია პროფესიის მაღალი რისკ-ფაქტორი. გემი მეზღვაურისათვის წარმოადგენს ერთდროულად სამუშაო და საცხოვრებელ გარემოს. გამომდინარე აქედან ერთიანი გუნდის შეგრძნება, თვითდისციპლინა, კომუნიკაბელობა, პუნქტუალობა, პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობა ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებიც განსაზღვრავენ გემის, ეკიპაჟისა და ტვირთის უსაფრთხოებას. ქსტრემალურ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღება. |

## მეოთხე დონის გემის სამნქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

**პროფესიული განათლების დონე:** მეოთხე

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში;

**პროგრამის მოცულობა:** 67 კრედიტი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება;

| |
|---|
| ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №086 ან №100), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს შერჩეული სამედიცინო დაწესებულება |

| |
|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** საერთაშორისო საზღვაო კონვენციისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს გემბანის მეზღვაურის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელსაც შეუძლია 500 და მეტი სრული ტევადობის საზღვაო გემზე დაიკავოს ამ კვალიფიკაციის შესაბამისი თანამდებობა. |

**სწავლის შედეგი:**

| | |
|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესების, მეთოდებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და გააზრება. იცის: ზოგადი ცნებები გემის აგებულებისა და გემის სანაოსნო თვისებების შესახებ; ზოგადი ცნებები გემის შიგაწვის ძრავებში მიმდინარე პროცესების შესახებ. ძრავების აგებულება, მათი მოქმედების პრინციპები, მომსახურე სისტემები; გემის ქვაბების უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები; გემის სისტემებისა და მექანიზმების ავარიულ-გამაფრთხილებელი სიგნალიზაცია; გემის შიგაწვის ძრავების ექსპლუატაციის წესები; ვახტის გაწევის წესები სამანქანე განყოფილებაში; მთავარი ძრავის, დამხმარე დიზელ გენერატორის და დამხმარე მექანიზმების გაუმართავი მუშაობის ნიშნები და მიზეზები; გემის ტუმბოების, კომპრესორების, სეპარატორების და საჭის მანქანის აგებულება და მომსახურე სისტემები; ენერგეტიკული დანადგარების მუშაობის ძირითადი საექსპლუატაციო მაჩვენებლები; გემის მექანიზმების, სისტემების და მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის ძირითადი მასალები; გემის მილგაყვანილობების მარკირება და დანიშნულება; უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები სამანქანე განყოფილებაში სამუშაოდ; მოვალეობები გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (ავარიული სიტუაციის, ხანძრის შემთხვევებში). ავარიული სიგნალიზაციის სისტემები სამანქანე განყოფილებაში; ავარიული აღჭურვილობის გამოყენება და მოქმედებები ავარიული სიტუაციების შემთხვევაში; ნარჩენების უტილიზაციის ნებადართული წესები; ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების ძირითადი მოთხოვნები; |
| **უნარი** | შეუძლია: გაწიოს ვახტა სამანქანე განყოფილებაში; მოამზადოს მუშა პროცესისათვის ენერგეტიკული დანადგარების მომსახურე სისტემები; |

| | |
|---|---|
| | განახორციელოს სამანქანე განყოფილების ელექტრომოწყობილობების მომსახურება; შეასრულოს აუცილებელი მოქმედებები განგაშის ყველა სახეობის ადეკვატურად, სიცოცხლის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მათ შორის: ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით; ჩაუშვას, ამოწიოს და მართოს სამაშველო კანჭო; ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა; თავისი კომპეტენციების ფარგლებში: გემის გადარჩენის ტექნიკური საშუალებების, ავარიული, ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ინვენტარის გამოყენება; იმოქმედოს გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე. საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების ჩვენებების, ვიზუალური და სმენითი დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და სავახტო მექანიკოსის ინფორმირება. აქვს გუნდური მუშაობის უნარი და ამყარებს ეფექტურ სამუშაო ურთიერთობებს კოლეგებთან, ხელმძღვანელობასთან; აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი მოცულობით; ვახტის გაწევის პროცესში, ფუნქციონალური მოვალეობების შესრულების დროს ადეკვატურად აღიქვამს ბრძანებებს კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად აცნობიერებს გადამზადების კურსების აუცილებლობას და შემდგომი პროფესიული ზრდის საჭიროებას.ს და შესწევს უნარი გასცეს მოტივირებული და დასაბუთებული პასუხი. |
| პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა | მეზღვაურის პროფესიული საქმიანობის თავისებურების განმსაზღვრელია პროფესიის მაღალი რისკ-ფაქტორი. ქსტრემალურ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღება. გემი მეზღვაურისათვის წარმოადგენს ერთდროულად სამუშაო და საცხოვრებელ გარემოს. გამომდინარე აქედან ერთიანი გუნდის შეგრძნება, თვითდისციპლინა, კომუნიკაბელურობა, პუნქტუალობა, პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობა ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებიც განსაზღვრავენ გემის, ეკიპაჟისა და ტვირთის უსაფრთხოებას. |

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

*შპს ბუსსს ანრის*
*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი*
*Vocation Educational Programs' Catalogue of BHMES ANRI, LLC*






## სასწავლო და საცურაო პრაქტიკა

როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს **საზღვაო პრაქტიკას** საზღვაო სავაჭრო გემებზე, რაც აუცილებელი პირობაა პროფესიული კურსდამთავრებულის მიერ „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების“ შესახებ საერთაშორისო საზღვაო კონვენცის (STCW) მოთხოვნების შესაბამისად კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გარდა, გემზე მუშაობისათვის საჭირო სამუშაო დიპლომის ასაღებად. პროფესიული კურსდამთავრებულები ღებულობენ სპეციალურ ცოდნას ინგლისურ ენაში, (წარმოადგენენ საერთაშორისო საზღვაო ენებს), გადიან აუცილებელ სასერტიფიკაციო მომზადებას მეზრვაურთა წვრთნის და სერტიფიცირების ცენტრის ბაზაზე.

თეორიული სწავლების პარალელურად მიმდინარეობს პრაქტიკული სწავლება სპეციალობების მიხედვით შემდეგნაირად: გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის სპეციალობის პროფესიული სტუდენტები სპეცილაურ პრაქტიკულ მეცადინეობებს გადიან სასწავლებლის საკუთრებაში არსებულ სასწავლო გემ კაპ. ო. ჩახვაძეზე, ასევე სასწავლებლის ბაზაზე არსებულ სამანქანე განყოფილებასა და მასთან არსებულ ელექტროსამონტაჟო და სახარატო საამქროებში, პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, სამაცივრო დანადგარების ლაბორატორიებში. საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის სპეციალობის პროფესიული სტუდენტები კი - გემის რეალურ ტრენაჟერზე, სატაკელაჟო კაბინეტში, საცურაო აუზსა და სამშველო კატარღებზე გადიან სპეციალურ წვრთნებს.

შპს ბუსსს ანრი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო კრუინგულ და გემთმფლობელ კომპანიებთან, რათა უზრუნველყოს წარჩინებული სტუდენტების საცურაო





პრაქტიკა და პროფესიულ კურსდამთავრებულთა დასაქმება.

## მეზღვაურთა მომზადება, გადამზადება, სერტიფიცირება

მეზღვაურთა მომზადება/გადამზადება, სერტიფიცირება მიმდინარეობს შპს ბუსსს ანრის მეზრვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში.

შპს ბუსსს ანრის წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი აღიარებულია სსიპ საზღვაო ტრანსპრტის სააგენტოს მიერ.

წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში კურსები ტარდება საერთაშორისო, ეროვნული და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მოდელ კურსების მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავებული პროგრამებით. სწავლების, მომზადების პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული, დამტკიცებული და აღიარებული პროგრამების საფუძველზე, ვიდეო მასალის, კურსის შესაბამისი სიმულატორების გამოყენებით. სრულყოფილი პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად სასწავლებელს გააჩნია თ/მ "კაპიტანი ოთარ ჩახვაძე", სწრაფმავალი და სამაშვლეო კატარღები, მოტონავი, სამაშველო ტივი, კაპიტნის ხიდურის სიმულატორი, ხმელეთზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო სიმულატორი, რადიოლოკაციური და ავტომატური რადიოლოკაციური სიმულატორი, რეალური სამანქანო განყოფილება, პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, სამაცივრო დანადგარების ლაბორატორიები და საამქროები, რეალური გემის მოდელი, საცურაო აუზი და სხვა.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

# შპს ბუსსს ანრის
# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი
# Vocation Educational Programs' Catalogue of BHMES ANRI, LLC












## ბიბლიოთეკა

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 8818 წიგნს, მათ შორის არის ქართული, რუსული და ინგლისური გამომცემლობები. ბიბლიოთეკაში აგრეთვე აღრიცხვაზეა 740 ც. დისკზე ჩაწერილი სასწავლო პროგრამა და/ან ვიდეო მასალა, ბიბლიოგრაფია. სისტემურად მიმდინარეობს წიგნადი ფონდის განახლება. ბიბლოთეკაში არის ელექტრონულ, ანბანური და თემატური კატალოგები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის ელექტრონული რიდერი.

დანერგილია ელექტრონული კატალოგი EVEGREEN - ის სისტემა, LSM ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის სერვისის მიწოდება, რომელიც მკითხველისათვის მოსახერხებელი და კომფორტულია და სასწავლებლის შიდა მონაცემების გარდა, შეიცავს გარე ელექტრონულ რესურსებს, კერძოდ MARR ჩაწერის გარეთა მხარე, რომელსაც უყურებს მომხმარებელი, ნებისმიერ მკითხველს შეუძლია საკუთარი სურვილისამებრ მოიძიოს მისთვის საინტერესო წიგნი ბიბლიოთეკის ინტეგრირებულ კატალოგში. აგრეთვე ხდება ბიბლოგრაფიული ჩანაწერების მონაცემთა ბაზაში შეტანა, მონაცემების გადმოწერის ფუნქციის არსებობა, ჩანაწერების გაცვლა .

აგრეთვე ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი „OpenBiblio". Openbiblio არის ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგის შესაქმნელი მოსახერხებელი პროგრამა. იგი წარმოადგენს „ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემას" (Integrated Library System) იმ გაგებით, რომ მისი საშუალებით ხდება მთელი საბიბლიოთეკო პროცესის ავტომატიზაცია. მასში შესაძლებელია 60000-მდე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გაკეთება და მართვა, რაც სავსებით საკმარისია უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებისათვის. მისი დანერგვით მოხდება წიგნადი თუ სხვა სახის ფონდების სწრაფი კატალოგიზაცია, აბონემენტის მოდული გაუადვილებს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ლიტერატურის მოძებნა-გაცემის პროცესებს. რაც თავის მხრივ დადებითად აისახება საბიბლიოთეკო სერვისის მოწესრიგებასა და პროდუქტიულობაზე.

სასწავლებელმა უზრუნველყო საერთაშორისო ბაზებთან (EBSCO) წვდომა. EBSCO წარმოადგენს ჟურნალებისა და საცნობარო მონაცემების უდიდეს კოლექციას,მოიცავს 131000 სამეცნიერო გამოცემას,4600 ჟურნალს სტატიების სრული ვერსიებით,8500 ჟურნალს ინდექსირებული სტატიებითა და აბსტრაქტებით,საზღვაო ჟურნალებს და გამოცემებს.
EBSCO დაარსდა 1984 წელს Elton Bryson Stephens-ის მიერ. EBSCO-ს გამოყენება შეიძლება როგორც სასწავლებლის ვებ-გვერდიდან,ასევე სასწავლებლის გარედან.
2024 წლის იანვრიდან სასწავლებლის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა IMO Bookshelf-თან და IMO Virtual Publication-თან,სადაც ხელმისაწვდომია ელექტრონული მოდელ კურსები,რომლებიც გამოიწერა ბიბლიოთეკამ IMO-ს დისტრიბუტორისგან თურქეთში.

სასწავლებელმა 2024 წლის ნოემბერში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) უახლეს (მოდელ კურსები,საერთაშორისო საზღვაო კონვენციები) ელექტრონულ გამომცემლობების IMO-Epublications პორტალზე მომხმარებლის სტატუსი მოიპოვა .

ბიბლიოთეკა აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, აგრეთვე დოკუმენტაციის ამოსაბეჭდი და გასამრავლებელი ტექნიკით.











## საერთო საცხოვრებელი

საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოსული პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლებელში კეთილმოწყობილია საერთო საცხოვრებელი და კვების ბლოკი.

საერთო საცხოვრებელის ოთახები განკუთვნილია 2, 4 , 6 და 8 სტუდენტისთვის. ყოველ ოთახში არის ტელევიზორი, მაცივარი, სველი წერტილი და საშხაპე.









შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

*შპს ბუსსს ანრის*
*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი*
*Vocation Educational Programs' Catalogue of BHMES ANRI, LLC*

## სტუდენტების აქტივობები

სასწავლებლის სტუდენტებისთის შექმნილია დასვენებისა და გართობის პირობები.

სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა კულტურულ, მასობრივ, სპორტულ ღონისძიებებში.














შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

*შპს ბუსსს ანრის*
*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი*
*Vocation Educational Programs' Catalogue of BHMES ANRI, LLC*






## შპს ბუსსს ანრის პერსონალი

შპს ბუსსს ანრის ხელმძღვანელობს დირექტორი ანზორ დიასამიძე, რომელიც არის შორეული ნაოსნობის კაპიტანი, ტ.მ.დოქტორი, პროფესორი. ის არ იშურებს ენერგიას და ძალისხმევას აღზარდოს განათლებული მეზღვაურები, აწარმოოს საზღვაო სპეციალისტების მაღალ ხარისხიანი მომზადება/გადამზადება.

შპს ბუსსს ანრიში დასაქმებულია 100-ზე მეტი თანამშრომელი, მათ შორის საშტატო პერსონალი, პროფესიული მასწავლებლები და აკადემიური პერსონალი.

ლექციებს და კურსებს კითხულობს გამოცდილი საზღვაო სპეციალისტები, კვალიფიცირებული პროფესიული მასწავლებლები.

სასწავლებელი ხელს უწყობს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას. შეძლებისამებრ თანამშრომლები გადიან შესაბამის ტრენინგებს, ესწრებიან სხვადასხვა სახის სემინარებს, კონფერენციებს, შეხვედრებს და ა.შ.





## თანამშრომლობა სხვა სასწავლებლებთან

შპს ბუსსს ანრის გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები არაერთ გემთმფლობელ და საკრუინგო კომპანიასთან.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

*შპს ბუსსს ანრის*
*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი*
*Vocation Educational Programs' Catalogue of BHMES ANRI, LLC*





ურთიერთთანამშრომლობის საგანია სასწავლებლის პროფესიული სტუდენტებისთვის საზღვაო პრაქტიკით უზრუნველყოფა და შემდგომი დასაქმება, მეზღვაურების სერტიფიცირება და სხვა საზღვაო საქმესთან და სასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები.



კატალოგის შემმუშავებელი:

| | |
|---|---|
| პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი | დავით ჩხაიძე |
| სასწვლო პროცესის მენეჯერი | მაია დავითიანი |